ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
2. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
3. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. პედაგოგიკის ინსტიტუტი

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით :

1. თამარ გაგოშიძე, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. ლალი სურმანიძე, პროფესორი
3. ვახტანგ ნადარეიშვილი, პროფესორი
4. ირაკლი იმედაძე, ასოცირებული პროფესორი
5. შორენა მამუკაძე, ასოცირებული პროფესორი
6. თამარ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
7. ირინე ჟვანია, ასოცირებული პროფესორი
8. ვლადიმერ ლადო) გამსახურდია, ასისტენტ პროფესორი
9. მაია მაჭავარიანი-წერეთელი, ასისტენტ პროფესორი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	MICS(ბავშვთა ადრეული განვითარების მრავლობითი კლასტერული ინდიკატორების კვლევა). მონაცემთა მეორადი ანალიზი. UNICEF	2020 წლის აგვისტო-ნოემბერი	თამარ გაგოშიძე, პროექტის კონსულტანტი
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ფუნქციური შეფასების ინსტრუმენტის სტანდარტიზება UNICEF	2019-2020	თამარ გაგოშიძე, მკვლევარ-კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მრავლობითი კლასტერული ინდიკატორების საერთაშორისო კვლევის ფარგლებში საქართველოში ჩატარდა ადრეული განვითარების მრავალ ასპექტთან დაკავშირებით ოჯახების გამოკითხვა. დამუშავდა 14120 ოჯახის წევრის გამოკითხვის შედეგები. კვლევაში გათვალისწინებული იყო ოჯახის სტრუქტურის და მახასიათებელების, დემოგრაფიული ფაქტორები, ბავშვების ადრეული განვითარების მახასიათებლები -4 განზომილება: ფიზიკური განვითარება, წიგნიერება, რიცხვების შესახებ წარმოდგენა, დასწავლის უნარი და სოციალურ-ემოციური განვითარება. გაანალიზებულ იქნა 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ტელევიზორისა და ელექტრონული გაჯეტების გამოყენების წინაპირობებისა და ეფექტების კვლევის შედეგების ანალიზი.

აღმოჩნდა, რომ ტელევიზორისა და გაჯეტების გამოყენების სიხშირე დამოკიდებულია ურბანულ და ბავშვის ასაკის ფაქტორებზე. ბავშვების ოჯახში რაოდენობა უარყოფით კორელაციაშია გამოყენების სიხშირესთან. ის ბავშვები ვინც ოჯახში განიცდის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან. აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე დედების შვილები, ასევე ბავშვები, ვისაც ოჯახში მეტი წიგნი და სათამაშო აქვთ, უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან. აღნიშნული კავშირშია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ბავშვებს, ვინც უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები მაჩვენებლები აქვთ სოცუალურ-ემოციური განვითარების პარამეტრებში.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები მშობლებისთვის და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი იმედაძე	განწყობის ონტოლოგიური ბუნების პრობლემა ISBN 978-9941-8-2840-9	თბილისი: ნიუტონი	83 გვ.
ანოტაცია დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საკვანძო საკითხს განწყობის ონტოლოგიური ბუნების ნეთელყოფა წარმოადგენს. შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე ავტორის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ცვალებადობდა. ამის გამო თეორიის ეს ცენტრალური საკითხი დღესაც განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და თავლსაზრისების ასპარეზად არის ქცეული. მოცემული ნაშრომის მიზანდასახულება მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს, შეფასდეს და ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით დალაგდეს ის თეორიული სვლები, რომელთაც მიმართავდა განწყობის თეორიის ავტორი, გაშუქდეს არსებული ინტერპრეტაციები და შეიქმნას შეძლებისდაგვარად სრული სურათი იმ შეხედულებებისა, რომლებიც სადღეისოდ არსებობს ამ სფეროში. ნაშრომში განხილულია ახალი მასალა უზნაძის "ჩანაწერების რვეულიდან", ასევე გაანალიზებულია განწყობის თეორიის ქმნადობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი, რომელიც სპეციალისტების ყურადღების მიღმა დარჩა.			

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი იმედაძე	თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი - მცირე რეტროსპექტივა Tbilisi Symposium on the Unconscious – A short retrospective ISSN 2667-9027	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	16გვ. (129 -144)
2	ირაკლი იმედაძე	დიმიტრი უზნაძე და მისი ჩანაწერების რვეული ISBN 978-9941-8-2839-3	დ. უზნაძე: ჩანაწერების რვეული	თბილისი: ნიუტონი	6 გვ.
3	ირაკლი იმედაძე	პოლიმოტივაციური ქცევის დინამიკური მოდელი Dynamic model of polymotivational behavior	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. ტ. 14, №2. Bulletin of the Geogian National Academy of Sciences.	თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიია	7 გვ.
4	ვახტანგ ნადარეიშვილი	ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება ISSN 2667–9027	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ.

5	ირინე დოღაძე, თამარ გაგოშიძე	ნორმალურარ განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე 6-4 წლის ქართულენოვანი ბავშვების ენობრივი პროდუქციის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი Linguistic and Neuropsychological Analysis of Language Production in 4-6-Year-Old Georgian-Speaking Children with Typical Language Development and Specific Language Disorder.	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ.

1. წელს 40 წელი შესრულდა მას მერე, რაც თბილისში გაიმართა მასშტაბური საერთაშორისო სიმპოზიუმი არაცნობიერის პრობლემასთან დაკავშირებით. სიმპოზიუმს დიდი რეზონანსი ჰქონდა სამეცნიერო საზოგადოებაში. მასზე განიხილებოდა ამ პრობლემის თითქმის Yყველა ძირითადი ასპექტი. გაიმართა ნაყოფიერი დიალოგი ფსიქოანალიზისა და დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს შორის. მოცემულ წერილში დახასიათებულია არაცნობიერის პრობლემისადმი ამ ორი მიდგომის განმასხვავებელი მთავარი მომენტები; ასევე განხილულია ამ სამეცნიერო ფორუმის მომზადებისა და ჩატარების ზოგიერთი დეტალი. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, თუ რატომ იქნა არჩეული ამ სიმპოზიუმის ჩატარების ადგილად თბილისი. ამ კონტექსტში ნაჩვენებია, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორია იყო ერთადერთი ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია ე.წ. საბჭოთა ფსიქოლოგიაში, რომელშიც მოცემულია შეხედულებათა მწყობრი სისტემა არაცნობიერი ფსიქიკის ბუნებისა და ფუნქციონირების წესის თაობაზე.

2. წერილში ზოგადად დახასიათებულია დიმიტრი უზნაძის წიგნის სახით პირველად გამოცემული ჩანაწერები, რომლებიც მოიცავენ საკითხთა მეტად ფართო წრეს. წერილში მხოლოდ რამდენიმე მათგანზეა გამახვილებული მკითხველის ყურადღება. შესრულებულია მათი პილოტაჟური ანალიზი. ამ ჩანაწერებში განწყობის თეორიის ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გაცილებით უფრო ჩაღრმავებულ შესწავლას და გააზრებას მოითხოვს.

3. პოლიმოტივაციის მოვლენა აქტივობის ერთზე მეტი მოთხოვნილებით აღძვრაში მდგომარეობს. ეს ფენომენი თავის ახსნას ნახულობს ადამიანის მოთხოვნილებათა სფეროს მრავალფეროვნებაში და მის ბუნებრივ ტენდენციაში მაქსიმალურად გამოიყენოს ქცევითი რესურსები რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის. ამიტომ პოლიმოტივაციის მოვლენა ერთობ გავრცელებულია, თუმცა ძალზე ცუდად გამოკვლეული თეორიულად და ემპირიულად. სტატიაში წარმოდგენილია ორგინალური თეორიული მოდელი, რომელიც მოიცავს პოლიმოტივაციის ტიპოლოგიას და პოლიმოტივაციური სისტემების დინამიკური ტრანსფორმაციის დახასითებას ქცევის მომდინარეობის პროცესში.

4. დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობა“ დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნია ისევე, როგორც „ათითუდი”, „პიროვნული ნიშანი” და „ფიქსირებული განწყობა”. სიტუაციური განწყობა ფიქსირებული დისპოზიციის ფორმირების საფუძველია და ასევე - პირიქითაც, ფიქსირებული დისპოზიციის არსებობის შემთხვევაში მისი შემდგომი დიფერენციაციის სტადიას და პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს.

   სიტუაციური განწყობის მეშვეობით წარმოებს ფიქსირებული დისპოზიციების ქცევაში რეალიზაცია, რისთვისაც ის ორგანიზებას ახდენს და აერთიანებს დისპოზიციის არსებულ სტრუქტურულ კომპონენტებს და კონკრეტული მომენტის აქტუალურ მოცემულობას. იმავდროულად, სიტუაციური განწყობის მეშვეობით ქცევაში რეალიზაციის წარმატებული გამოცდილება აუმჯობესებს დისპოზიციური განწყობის მაჩვენებლებს (ნადირაშვილი, 1985) და ზრდის მისი მონაწილეობით წარმოებული ადაპტაციის ეფექტურობას.

   ფსიქიკური აქტივობის მაღალ დონეებზე, ქცევის რეგულაციაში ცნობიერი რესურსი ერთვება (მოცემულ სტატიაში აქცენტი ცნობიერ რეგულაციაზე დაისმის, რაც, პირობითად, ანალიზისთვის განცალკევებულია მის საფუძვლად მდებარე არაცნობიერი განწყობისეული რეგულაციის ეტაპისგან), რომლის მონაწილეობითაც წარმოებს სოციალური ღირებულებების ინტერნალიზაცია და მათი გამოყენება ინდივიდუალური/პერსონალური განწყობების ფორმირებისთვის.

   შემოთავაზებული მიდგომა საშუალებას იძლევა დადასტურდეს: ა) განწყობისეული წარმონაქმნების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების ორგანული კავშირი; ბ) მათი სინერგიის და ურთიერთტრანსფორმაციის შესაძლებლობა; გ) აქტივობის ენერგეტიკული უზრუნველყოფის, განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშემავსებელი, მათ შორის სოციო-კულტურული წარმომავლობის (ღირებულება), წყაროების არსებობა; დ) დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობის“ ჩართვის შესაძლებლობა და აუცილებლობა „დისპოზიციების“ ეგიდის ქვეშ არსებულ საერთაშორისო თეორიულ და მეთოდოლოგიურ კონტექსტში.

   მოცემული მიდგომა, ასევე, პროდუქტიულად გამოიყურება სამართლებრივი კულტურის მდგენელების - მართლშეგნების/სამართალცნობიერების და ნორმატიული ქცევის მიმართების საკითხის შემდგომი დამუშავებისთვის, როდესაც მათი ერთიანობის საფუძვლად განწყობისეული წარმონაქმნების ორი ურთიერთდაკავშირებული ფორმა - ფიქსირებული და არაფიქსირებული დისპოზიცია, ანუ, სხვა ტერმინებით, „დისპოზიციური“ და სიტუაციური განწყობა იგულისხმება.

5. კვლევის მიზანი იყო ექსპრესიული ენის დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი ქართულენოვანი ბავშვების პოპულაციაში. კვლევაში მონაწილეობდნენ ექსპრე- სიული ენის დარღვევის და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე 4–6 წლის ბავშვები, სულ - 40 მონაწილე. ბავშვების მეტყველება ფასდებოდა ფორმალური ტესტირებით, და თავისუფალი თამაშის არაფორმალურ სიტუაციაში.

   ორი ჯგუფის მონაცემთა შედარებით გამოვლინდა, რომ ენის ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ენის დარღვევის მქონე ჯგუფისაგან შემდეგი ფაქტორების მიხედვით: არტიკულაციური $t(38)= -4,65$, $p<0,001$), ფონოლოგიური ($t(38)= -2,48$, $p<0,05$), სინტაქსური შეცდომები ($t(38)= -3,67$), გამონათქვამის სიგრძის

მაჩვენებელი (t(38)= 3,62, p=0,001), შეცდომების საერთო რაოდენობა (t(38)=- 5,36, p<0,001). აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ: ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან ძირითადი შეცდომები დაკავშირებულია ფონოლოგიურ და სინტაქსურ შეცდომებთან, ბგერათა არტიკულაციასთან; აღნიშნული დარღვევის მქონე მოზარდებს უჭირთ რთული წინადადებების წარმოება. მოცემული ჯგუფების შედარებისას არ გამოვლინდა თვისებრივი განსხვავება. ორივე ჯგუფი მსგავსი ტიპის შეცდომებს უშვებდა, განსხვავება დაკავშირებული იყო შეცდომების საერთო რაოდენობასთან. მონაცემთა რეგრესული ანალიზით გამოვლინდა, რომ, გამონათქვამის სიგრძისა და მთლიანი პროდუქციის მიხედვით, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ შეცდომების ტიპები და, ამასთან - მხოლოდ ნორმის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად შეგვიძლია სამი ზოგადი დასკვნის გამოტანა: 1. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს ენობრივი უნარის ათვისება გახანგრძლივებულია და ეს ენის ატიპური განვითარების დარღვევა არ არის. 2. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამოვლენილ დეფიციტთა პროფილი დამოკიდებულია ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე კონკრეტულ ენასა და ამ ენის მიერ ბავშვისათვის წაყენებულ მოთხოვნებზე. 3. ქართულად მოუბარი ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია, უპირატესად, ფონოლოგიური, არტიკულაციური, სინტაქსური შეცდომები და მოკლე წინადადებებით საუბარი; 4. Levelt-ის კოგნიტიური მოდელის მიხედვით, ქართულენოვან ბავშვებთან დეფიციტური რგოლია გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირებისა და დამატებით ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაცი	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ო კოდი DOI ან ISSN			
1	Vladimer Lado Gamsakhurdia	The Origins and Perspectives of 'Culture'—Is it Relevant Anymore?. Hu Arenas 3, 475–491 (2020). https://doi.org/10.1007/s42087-020-00107-9	Human Arenas		pp. 475–491
2	Vladimer Lado Gamsakhurdia	"Systematic Semiotic Organisation and Anthropologisation of the Science of Soul – Towards Cultural Psychology". Integr. psych. behav. 54, 625–638 (2020). https://doi.org/10.1007/s12124-020-09541-4	Integrative Psychological and Behavioral Science		pp. 625–638
3	Daniel I. Lee; Gwendolyn Gardiner; Erica Baranski; Members of the David C. Funder, Vladimer Lado Gamsakhurdia et al.	Situational experience around the world: A replication and extension in 62 countries. J Pers. 2020; 88: 1091–1110. https://doi.org/10.1111/jopy.12558	Journal of Personality		pp. 1091-1110
4	Sex Differences in Self-Construal and in Depressive Symptoms: Predictors of Cross-National Variation Show less Peter B. Smith, Matthew J. Easterbrook, Heyla al-Selim, Vivian	Sex Differences in Self-Construal and in Depressive Symptoms: Predictors of Cross-National Variation. Journal of Cross-Cultural Psychology. 2020;51(7-8):616-635.	Journal of Cross-Cultural Psychology		pp. 616-635

	Miu Chi Lun, Yasin Koc, Pelin Gul, Dona Papastylianou, Lusine Grigoryan, Claudio Torres, Maria Efremova, Bushra Hassan, Abd Halim Ahmad, Ahmed al-Bayati, Joel Anderson, Susan E. Cross, Gisela Isabel Delfino, Vladimer GamsakhurdiaEt al.	doi:10.1177/0022022120939655			
5.	Karandashev, V., Evans, N., Zarubko, E., Neto, F., Evans, M., Artemeva, V., . . . **Surmanidze, L.**	Physical Attraction Scale — Short Version: Cross-Cultural Validation. doi:10.1017/jrr.2020.17	Journal of Relationships		Pp 10
	5. ფიზიკური მიზიდულობა რომანტიკული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტია. სტატიაში წარმოდგენილია კვლევისა და პრაქტიკისთვისაა მისაწვდომი, ფიზიკური მიზიდულობის (PAS-S) სკალის მოკლე ვერსიის ინტერკულტურული ვალიდაცია. სკალის თავდაპირველი დამუშავება დასრულდა მრავალსაიტიან კვლევაში, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდ შერჩევაზე, ძირითადად აშშ-ს შუა დასავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში. შედეგებმა გამოავლინა ორფაქტორიანი სტრუქტურა, შესანიშნავი სანდოობა, აგრეთვე, შინაარსის, კონვერგენტული და დისკრიმინანტური სანდოობის დამტკიცება. შემდგომმა კროსკულტურულმა კვლევებმა, სადაც გამოყენებული იყო PAS-S, დაამტკიცა მისი სანდო ფაქტორული სტრუქტურა, უტყუარობა და სანდოობა იმ ნიმუშებში, რომლებიც შერჩეულ იქნა 6 ქვეყნის 10 კულტურულ რეგიონში. ამიტომ CCA-C-ს ეს მოკლე ვერსია შეიძლება იქნეს რეკომენდებული ინტერკულტურულ პრაქტიკასა და კვლევებში. სკალის ვარიანტები ინგლისურ, ფრანგულ, პორტუგალიურ, რუსულ და ქართულ ენებზე წარმოდგენილია დამატებებში. კროსკულტურული ვალიდაციის შედეგებზე დაყრდნობით, ავტორები რეკომენდაციას უწევენ PAS-S-ს კვლევითი მიზნებისთვის და კონსულტირებასა და თერაპიაში პრაქტიკული გამოყენებისთვის. სკალა უზრუნველყოფს მოკლე და ინფორმატიულ ზომას იმისა, თუ 1) როგორ გრძნობს ადამიანი მიზიდულობას თავისი პარტნიორისადმი ახლო ურთიერთობებში და 2) მიზიდულობის რომელი ასპექტებია პრობლემური.				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Gagoshidze	DIR/Flrootime neuropsychological aspects and child early development. Oral presentation. Comprehensive methods of working with children with autistic spectrum disorder and their families. A psychologist's view on parent-child relationships during the pandemic	Local and international experience. First Step and OSGF. 30, January. Tbilisi, Oral Presentation
2	T. Gagoshidze	A psychologist's view on parent-child relationships during the pandemic	33rd Annual Georgian Studies Day. The Georgian Experience of Covid-19. University of Westminster and TSU Annual International Conference. 8, October. Online Oral Presentation.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სუმბაძე, ნ., **ჟვანია, ი., აბაშიძე, თ.**, აბულაძე, დ.	დეპრესია, როგორც აქტიური დაბერების შემაფერხებელი ფაქტორი	28 თებერვალი 2020, მილანი, იტალია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სხვა აქტივობები:

1. სამეცნიერო კვლევის ანგარიში

#	ავტორ(ებ)ი	ანგარიშის სახელწოდება	გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., **აბაშიძე, თ., ჟვანია,** ი., მახარაძე, თ.	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდზმულებისთვის საქართველოში - არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები	თსუ გამომცემლობა	53 გვ.
ანოტაცია კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ШШ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ფინანსური მხარდაჭერით 2019 წელს. კვლევის ძირითადი მიზანი იყო ხანდაზმულთა საჭიროებებისა და მათთვის ხელმისაწვდომი სახლმწიფო მომსახურებების ანალიზი. პირისპირ ინტერვიუები ხანდაზმულებთან მათი საჭიროებების შესახებ ჩატარდა საქართველოს რამდენიმე ქალაქში, ელექტრონულად გამოიკითხა ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ხანდაზმულებისთვის ადგილობრივი მთავრობების დაფინანსებით ან თანადაფინასნებით არსებული მომსახურებების შესახებ, გაანალიზდა რელევანტური სახელმწიფო დოკუმენტები, ადგილობრივი კვლევები და სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები. კვლევის შედეგები ასახულია შესაბამის ანგარიშში.			

2. სტატია საკონფერენციო მასალებში

#	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სახელწოდება	გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სუმბაძე, ნ., **ჟვანია, ი., აბაშიძე, თ.**, აბულაძე, დ.	დეპრესია, როგორც აქტიური დაბერების შემაფერხებელი ფაქტორი	აკადემიური კვლევისა და განვითარების ასოციაციის (ARDA) საკონფერენციო მასალები	4 გვ.
ანოტაცია სტატიაში განხილულია ფაქტორები, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ მოხუცებს ხელს უშლის აქტიურ და ჯანმრთელ დაბერებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ხანდაზმულთა დიდი ნაწილი თავს ბედნიერად არ გრძნობს; პირიქით, ისინი თავს უსუსურად განიცდიან და თვლიან, რომ „ზედმეტ ტვირთად“ აწვებიან ოჯახს. სტატიაში ხანდაზმულების ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სოციალური აპათიის ახსნა ნაცადია ადამიანის განვითარების თეორიებით, რომლებშიც განვითარების ტრაექტორია მოთხოვნილებათა იერარქიასთან არის დაკავშირებული. განვითარების სრული ციკლის გავლის შემდეგ, იერარქიულად ყველაზე მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, საწყის ეტაპზე დაბრუნება, დაუკმაყოფილებელი ბაზისური მოთხოვნილებები და წარუმატებლობა ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლაში აისახება ხანდაზმულთა დეპრესიის მაღალ დონესა და ჯანმრთელობის გაუარესების რისკში.			

პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ხელმძღვანელის მითითებით :

1. ლუიზა არუთინოვი, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. მარინე ჩიტაშვილი, პროფესორი
3. ხათუნა მარწყვიშვილი, ასოცირებული პროფესორი
4. მაია მესტვირიშვილი, ასოცირებული პროფესორი
5. ლილი ხეჩუაშვილი, ასოცირებული პროფესორი
6. თეონა ლოდია, ასისტენტ პროფესორი
7. მარიამ ფანჯიკიძე, ასისტენტ პროფესორი
8. ქეთევან მოსაშვილი, ასისტენტ პროფესორი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16;	2016-2020	პროექტის ხელმძღვანელი მესტვირიშვილი მაია. ახალგაზრდა მეცნიერები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

	პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“ სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია		

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“ პროექტი მიზნად ისახავს ახალი სადოქტორო პროგრამის „კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში“ განვითარებასა და განხორციელებას. პროგრამა კვლევის ორი ქვედარგისგან შედგება და სტრუქტურულად ორი ერთეულის/მოდულის სახით არის წარმოდგენილი: (ა) პოზიტიურ ფსიქოლოგია პიროვნების კვლევებში და (ბ) პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში. პროგრამა მეთოდოლოგიური პლურალიზმის პრინციპზეა აგებული და მონაცემების შეგროვებისთვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს იყენებს. პროექტის პირველი წელი სადოქტორო პროგრამის განვითარებასა და აკრედიტაციის მიღებას ეთმობა, დანარჩენი სამი წლის განმავლობაში კი დაგეგმილია დოქტორანტების პირველი თაობის გამოშვება. უცხოელი ექსპერტები ჩართულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, იქნება ეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, საკონსულტაციო ვიზიტები საქართველოში ან ექსპერტების უნივერსიტეტებში, მათ მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები და ინტენსიური სასწავლო კურსები პროგრამაში ჩართული (და სხვა) აკადემიური პერსონალისთვის და დოქტორანტებისთვის.

2.	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი, 2018, YS-18-2025 კატეგორიული და შედეგობრივი მორალური მსჯელობა: ემოციების როლი სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2018-2020	პროექტის მენტორი მაია მესტვირიშვილი ახალგაზრდა მეცნიერი: ნათია მესტვირიშვილი

მორალური მსჯელობა ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საკითხს სოციალური მეცნიერებებისთვის. მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია ადამიანის ცხოვრებისთვის და სოციალური ქმედებებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ის არის საზოგადოების წესრიგის და სტრუქტურის საფუძველი. ათწლეულების მანძილზე მორალის კვლევის ფარგლებში ბევრი სხვადასხვა კონცეპტი (ცნება) ჩამოყალიბდა, როგორებიცაა მაგალითად: მორალური ინტელექტი, მორალური მსჯელობა, მორალური აგენტობა, მორალურ ქმედებებთან/გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული მორალური სელფი. ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენს მიზანს კატეგორიული და შედეგობრივი მორალურ მსჯელობისას ემოციური ინტელექტის როლის კვლევა და იმის აღმოჩენა წარმოადგენს, თუ როგორ მიდის მორალური მსჯელობა მორალურ ქცევამდე. ემოციების როლი განხილული იქნება მორალური მსჯელობის და მორალური ქცევის კონტექსტში. თავდაპირველად, მიმოვიხილავთ ძირითად ცნებებს: მორალურ ინტელექტს, კატეგორიულ და შედეგობრივ მორალურ განსჯას, კოგნიციის და ემოციების როლს მორალური მსჯელობისას და თვით-სასარგებლო (self-beneficial) და ალტრუისტულ მორალურ ქცევას. თეორიული კონტექსტის მიმოხილვის შემდგომ ვაჩვენებთ წინააღმდეგობას არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც მორალური მსჯელობის და ემოციური კომპეტენციის ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობენ და ბოლოს, ვაჩვენებთ თუ როგორ შეუძლია წინამდებარე კვლევას არსებული პრობლემის გადაჭრა და ემოციური ინტელექტის როლის აღმოჩენა მორალური მსჯელობისას.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტი	2020-2020	ხათუნა მარწყვიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) Creativity and Intelligence: A Different Road to Growth and Wellness მიუხედავად იმისა, რომ კრეატულობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას, საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლებით განსხვავდება ინტელექტი და შემოქმედებითობა ერთმანეთისაგან, კვლავაც ღიად რჩება. კვლევითი პროექტის მიზანს წარმოადგენს წვლილის შეტანა სამეცნიერო დებატებში ზოგადი ინტელექტისა და შემოქმედებას შორის გადაფარვებისა და განსხვავების შესახებ. შესამაბისად, კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს შეამოწმოს ჰიპოთეტური მოდელი, რომელიც ემყარება დაშვებას, რომ ინტელექტი და შემოქმედებითობა ასრულებს სხვადასხვა მიზნებს ევოლუციურად, ზოგადად და ინდივიდუალურად, მოტივაციურად და ისინი დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა რეალურ შედეგებთან. კერძოდ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ ინტელექტი ხელს უწყობს ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების, ხოლო კრეატიულობა შედარებით უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და თავისთავად, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება / ფრუსტრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნულ ზრდასა

და განვითარებაში, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ კონცეპტუალური განსხვავება შემოქმედებასა და ინტელექტში დაკავშირებული შეიძლება იყოს იმ გზებთან, რომლითაც ინტელექტი და შემოქმედებითობა კარგად ყოფნას, პიროვნულ ზრდასა და პოზიტიურ ცვლილებებს უკავშირდება.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თ. ქამუშაძე, ხ. მარწყვიშვილი, მ. კვიციანი	კატეგორიალურ იდან განზომილებით პარადიგმამდე: პიროვნული აშლილობების ალტერნატიულ ი მოდელი	*განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია 2020, 1 (55)*		7
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პიროვნული აშლილობები და მისი კლასიფიკაცია წარმოდგენს ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. მიუხედავად იმ დიდი პროგრესისა, რაც კლინიკურ შემთხვევებზე დაკვირვებებისა და ემპირიული კვლევების დახმარებით არსებობს, საბოლოო კონსენსუსი პიროვნული აშლილობების კლასიფიკაციის შესახებ, მიღწეული არ არის. ცენტრალური კითხვა მიემართება იმას, თუ რომელი მოდელია უპირატესი - განზომილებითი თუ კატეგორიალური. კატეგორიალური მოდელის შესახებ არსებულმა კრიტიკამ საფუძველი ჩაუყარა პიროვნული აშლილობების ალტერნატიული მოდელის შემუშავებას, რომელიც განზომილებით პარადიგმას ეყრდნობა და რომელშიც პიროვნული აშლილობები გართულებული პიროვნული ფუნქციონირებით და პათოლოგიური პიროვნული ნიშნებით ხასიათდება. ახალი მოდელის მიმართ ინტერესი მზარდია და არაერთი კვლევა ადასტურებს მის სარგებლიანობას კლინიკურ პრაქტიკაში.				
2	მ. ოდილავაძე, ლ. ხეჩუაშვილი, ხ. მარწყვიშვილი, მ. ფანჯიკიძე	ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგით: თეორიული ჩარჩო და ძირითადი ცნებები.	*განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია, 2020, 2(56)*		8
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში განხილულია ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელი. კერძოდ, აღწერილია ისეთი ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები, როგორებიცაა ორაზროვანი დანაკარგი და საზღვრების ორაზროვნება. ასევე, საუბარია ორაზროვანი დანაკარგისა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ურთიერთმიმართების საკითხზე. გარდა ამისა, ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა აღწერილია ინდივიდის, ოჯახისა და თემის დონეზე. ბოლოს, განხილულია მედეგობა, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობასთან გამკლავების და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების უნარი.				
3	ხ. მარწყვიშვილი ნ. სორდია ა. ნოიბაუერი	დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართული ვერსიების ფსიქომეტრულ	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 2020 N1		16

		ი მახასიათებლებ ი			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანია პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საკვლევი ორი საზომი ინსტრუ- მენტის - დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტისა (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის (Ten item of Per- sonality Inventory (TIPI); Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლების შესწავლა. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვარიანტის კვლევაში მონაწილეობას იღებდა 866 ადამიანი, პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად განხორციელებულ კვლე- ვაში კი - 377 ადამიანი. კვლევის შედეგების თანახმად, ორივე კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს სხვა კულტურებში არსებული ხუთფაქტორიანი მოდელის სტრუ- ქტურას, სანდოობის მაჩვენებლები აკმაყოფილებს პიროვნული კითხვარებისთვის მინი- მალურ რეკომენდებულ მნიშვნელობას, თუმცა ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში. ინსტრუმენტების ვალიდობაზე მეტყველებს ლოგიკური კავშირი თეორიულად ნავარაუდევ, რელევანტურ კონსტრუქტებთან: კერძოდ, პიროვნების ავერსიულ მახასიათებლებთან, ემოციურ ინტე- ლექტსა და ექვსფაქტორიანი მოდელის ნიშნებთან. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხუთეულის საკვლევი ორივე კითხვარის ქართული ვერსია, ძირითადი ფაქტორული სტრუქტურის, სხვა კონსტრუქტებთან გამოვლენილი ლოგიკური კავშირისა და სანდოობის მაჩვენებლების გამო, შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომი მეცნიერული და კვლევითი საქმიანობისთვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Martskvishvili, Kh., Panjikidze, M., Kamushadze, T., Garuchava, N., Dozois, D.	Measuring the thinking styles: Psychometric properties of the Georgian version of the Cognitive Distortion Scale.“	The Journal of Cognitive Psychotherapy (მიღებულია დასაბეჭდად)	*Publisher: Springer Publishing*	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანს წარმოადგენს კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის (CDS; Covin, Dozois, Ogniewicz & Seeds, 2011) ქართული ვერსიის (G-CDS) ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება. კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის ზომავს 10 სხვადასხვა კოგნიტურ შეცდომას სოციალური ურთიერთობებისა და მიღწევების სფეროში. მთლიანობაში, ინსტრუმენტის სტანდარტიზაციაში მონაწილეობა მიიღო 941 ინდივიდმა შვიდი სხვადასხვა შერჩევიდან (მათ შორის კლინიკური შერჩევის 37 მონაწილე). კონფირმატორულმა დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა ათფაქტორიანი გადაწყვეტის მოდელის მორგების საუკეთესო მაჩვენებლები. G-CDS სკალების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები მაღალია და კორელირებს თეორიულად ნავარაუდევ რელევანტურ კონსტრუქტებთან.

<table>
<tr><td colspan="6">მიუხედავად იმისა, რომ ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ერთ-ერთი კოგნიტური შეცდომის სკალაზე (უნდა განცხადებები), ვიდრე მამაკაცებს, სხვა გენდერული განსხვავებები არ გამოვლინდა. კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფს შორის ყველა კოგნიტური შეცდომის მიხედვით განსხვავება იყო სტატისტიკურად სანდო. ინსტრუმენტს ფსიქომეტრული მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოგნიტური შეცდომების საკვლევი ინსტრუმენტის ქართულ ვერსიას, როგორც კლინიკური, ასევე, კვლევითი პოტენციალის მაღალი ხარისხი აქვს.</td></tr>
<tr><td>2</td><td>Sordia, N.,
Jauk, E., &
Martskvishvili, KH.</td><td>Beyond the big personality dimensions: Consistency and specificity of associations between the Dark Triad traits and creativity.</td><td>Psychology of Aesthetics, Creativity, and the Arts. Advance online publication. https://doi.org/10.1037/aca0000346</td><td>Publisher: American Psychological Association</td><td>14</td></tr>
<tr><td colspan="6">ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
შემოქმედებითობა ხშირად განიხილება, როგორც სოციალურად სასურველი მახასიათებელი. თუმცა, კვლევების ნაწილი შემოქმედებითობის ცალკეულ ასპექტებთან მიმართებაში, სოციალურად ავერსიული პიროვნული მახასიათებლების როლს უსვამს ხაზს. საქართველოსა (N = 130) და ავსტრიაში (N = 234) ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შევისწავლეთ ბნელ ტრიადასა - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია და შემოქმედებითობის ცალკეულ ასპექტებს შორის კავშირი (შემოქმედებითი პოტენციალი, აქტივობა და მიღწევა). განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას კონსისტენტურობისა (შერჩევებსა და საზომებს შორის) სპეციფიკურობს (დიდი ექვსეულის პიროვნულ ნიშნებთან მიმართებაში) შესწავლაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე შერჩევაში, გრანდიოზული ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება სხვადასხვა სფეროში არსებულ შემოქმედებით აქტივობებს. ერთადერთი სფერო, სადაც კავშირი ორივე შერჩევაში გამოვლინდა გრანდიოზულ ნარცისისზმსა და ლიტერატურის სფეროში შემოქმედებით აქტივობებს შორის კავშირია. გრანდიოზული ნარცისიზმი თვითანგარიშის კითხვარით გაზომილ შემოქმედებით მიღწევებს უკავშირდება, თუმცა როცა ეს კავშირი არ ვლინდება მაშინ, როცა შემოქმედებითობას დამოუკიდებელი ექსპერტები აფასებენ. საინტერესოა და უჩვეულო მოწყვლადი ნარცისიზმი (ნევროტიზმისა და ინტროვერსიის კომბინაციით აღწერადი ნარცისიზმი) დადებითად უკავშირდება ექსპერტების მიერ შეფასებულ შემოქმედებით მიღწევებს და შემოქმედებით პოტენციალს (დივერგენტული აზროვნება), რაც მომავალი კვლევებისთვის ბიძგის მიმცემი შედეგია. ფსიქოპათია, კერძოდ ფსიქოპათიური სიმამაცე სპორტში არსებულ შემოქმედებით აქტივობებს უკავშირდება და გარკვეულ კავშირს ავლენს შემოქმედებით მიღწევებთანაც. საერთო ჯამში, მიღებული შედეგები მხარს უჭერს ნარცისიზმისა და გარკვეულწილად ფსიქოპათიის კავშირს შემოქმედებითობასთან. თუმცა მოცემული შედეგების განხილვისას გასათვალისწინებელია შერჩევის სპეციფიკა და ცნებათა ოპერაციონალიზაცია.</td></tr>
<tr><td>3</td><td>Kamushadze, T.
Martskvishvili, Kh.
Mestvirishvili, M.
Mestvirishvili, M.
Odilavadze (2020).</td><td>The Role of Flow and Personality Traits in Perfectionism and Psychological Well-being Relationship.</td><td>Europe's Journal of Psychology
(მიღებულია დასაბეჭდად)</td><td>Publisher: Europe's Journal of Psychology</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პერფექციონიზმი წარმოადგენს პიროვნულ ნიშანს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის ქცევისა და ფუნქციონირების გაგებაში. მაშინ როდესაც, არსებული კვლევები ძირითად აქცენტს აკეთებს პერფექციონიზმის არაადაპტურ ასპექტებზე და მის ნეგატიურ შედეგებზე, ნაკლებია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება პერფექციონიზმი პიროვნების ადაპტურ მახასიათებლებს და ნორმალურ ფუნქციონირებას. მოცემული კვლევის მიზანია პერფექციონიზმის სხვადასხვა ასპექტების დაკავშირება</td></tr>
</table>

ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან და ამ კავშირში გამოცდილებაში ჩაძირვის და პიროვნული ნიშნების როლის განსაზღვრა. კვლევა შედგება ორი ნაწილისგან. კვლევის პირველ ნაწილში, მონაწილეები ავსებდნენ პერფექციონიზმის, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და გამოცდილებაში ჩაძირვის კითხვარებს. კვლევის მეორე ნაწილში, დამატებით გამოვიყენეთ პიროვნული ნიშნების საზომი კითხვარი, რომელიც ეფუძნება პიროვნების HEXACO მოდელს. შედეგებმა აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა დადებითად უკავშირდება კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს და უარყოფითად - თვით-შეფასებით პერფექციონიზმს. გამოცდილებაში ჩაძირვა წარმოადგენს გამაშუალებელ ფაქტორს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას და კეთილსინდისიერ პერფექციონიზმს შორის. თვით-შეფასებით პერფექციონზმსა და გამოცდილებაში ჩაძირვას შორის კავშირი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. გამოცდილებაში ჩაძირვა ინარჩუნებს მედიატორის როლს შესაბამისი პიროვნული ნიშნების კონტროლის ფონზეც, თუმცა კავშირი ხდება ნეგატიური. მიღებული შედეგები განხილულია პერფექციონიზმის მრავალასპექტიანობის ჭრილში და შემოთავაზებულია პერფექციონიზმის და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის კავშირის ამხსნელი ახალი მექანიზმი.					
4.	Mestvirishvili, M., Mestvirishvili, N., Kvitsiani, M., & Kamushadze, T	Emotional Intelligence For Moral Character: Do Emotion-Related Competencies Lead To Better Moral Functioning?	*Psychological Studies* *https://doi.org/10.1007/s12646-020-00564-w*	*Springer*	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) წარმოდგენილი კვლევა მორალური მახასიათებლების სამ კომპონენტს განიხილავს: მორალურ კომპეტენციას მორალურ მსჯელობა სდა მორალურ იდენტობას. აგრეთვე კვლევის მიზანია დაადგინოს თუ როგორ უკევშირდება ისინი ემოციებთან დაკავშირებულ კომპეტენციებს. კვლევის შედეგად დადგინდა რომ მორალური დიენტობის სიძლიერე პოზიტიურად უკავშირება მორალურ კომპეტენციებს და აგრეთვე მათ სიძლიერეში წვლილი შეაქვს ინდივიდის ემოციური ინტელექტის მაღალ დოენს. თუმცა მორალური მსჯელობა არ ასახავს ანალოგიურ კავშირებს: იგი მხოლოდ ემოციური ინტელექტის მხოლოდ ერთ ასპექტს და თანაც სუსტად უკავშირდება. ემოციური ინტლეტქი მედიატორის როლსაც ასრულებს მორალური იდნეტობის და კომპოტენეციის კავშირში. საბოლოოდ მოცემული კვლევა მორალის სამ კომპონენტს აერთიანებს და ასახავს მათ კავშირებს ემოციასთან დაკავშირებულ კომპეტენციებან					

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

1. ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. ნანა სუმბაძე, პროფესორი
3. მედეა დესპოტაშვილი, ასოცირებული პროფესორი
4. ეკატერინე ფირცხალავა, ასოცირებული პროფესორი
5. ელენე კვანჭილაშვილი, ასოცირებული პროფესორი
6. გიორგი ყიფიანი, ასოცირებული პროფესორი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	CTC გრანტი. სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., აბაშიძე, თ., ჟვანია, ი. და მახარაძე, თ. (2020). ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდზმულებისთვის საქართველოში - არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები.	2020	ნანა სუმბაძე, მკვლევარი ანასტასია ქიტიაშვილი, მკვევარი
2	Skills Development for Matching Labour Market Needs in Georgia An EU-funded project under the Skills4Jobs Programme, Phase 2 Implemented by a Consortium led by GOPA Worldwide Consultants	2019-2024	ანასტასია ქიტიაშვილი, პროექტის ექსპერტი
3	Survey on impacts of COVID19 on older people and health care workers in Georgia. Researcher. Austrian, Swiss RC, IFRC and UNFPA (Co - author of report)	2020	Pirtskhalava, E
4	Fight against discrimination, hate crimes and hate speech in Georgia- DEPA Consulting – Expert; Researcher. The Council of Europe	2020	Pirtskhalava, E
5	Intercultural encounters in academia and work places in South Caucasus and Norway. – University of Oslo-Met and TSU.	2017/2021	Pirtskhalava, E
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	*ახალგაზრდების დასაქმების, შრომის ბაზრისა და მეწარმეობის კარგი პრაქტიკის კვლევა პოლონეთის, ესტონეთისა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილების მიხედვით, DRC*	2019-2020	ანასტასია ქიტიაშვილი, ხელმძღვანელი, ექსპერტი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ფარსადანიშვილი, ქიტიაშვილი.	აღქმული სტიგმის კონსტრუქტის შესწავლა საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანების მაგალითზე	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 2020, # 1. გვ 48-61	თბილისი, საქართველო	13
2	მახარაძე, თ. & ქიტიაშვილი, ა. (2020).	კვლევის ანგარიში - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მარტოდ მცხოვრები პენსიონრების ზოგადი მდგომარეობა, COVID-19 -ის პერიოდში			
2	სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., აბაშიძე, თ., ჟვანია,	კვლევის ანგარიში - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდზმულებისთვის		თსუ გამომცემლობა	

	ი. და მახარაძე, თ. (2020).	საქართველოში - არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები,			

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Kitiashvili.	Shifting from a Teacher-Centred to a Student–Centred Approach in the General Education of Georgia: Attitudes and Classroom Practices of Teachers	International Journal of Innovation and Research in Educational Sciences დეკემბრის ბოლომდე გამოქვეყნდება	On-line	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე **„განათლება, კვლევა, პრაქტიკა"**	ნანა სუმბაძე, ანი მამულია კომუნიკაციის უნარი, როგორც სტრესის შემცირების ფაქტორი ონ-ლაინ მუშაობის პირობებში	თელავი 2-3- ოქტომბერი.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) შესწავლილი იქნა ონ-ლაინ მუშაობით გამოწვეული სტრესის შემამცირებელ ფაქტორად მასწავლებლებისათვის კომუნიკაციის მაღალი უნარის არსებობალილ იქნა 422 პედაგოგი, მათგან 42% აღნიშნა ონ-ლაინ მუშაობით გამოწვეული სტრესის ზრდა. მისი ზომა კი დაკავშირებული აღმოჩნდა კომუნიკაციის უნართან, მაღალი უნარის მქონე პედაგოგები ნაკლებ სტრესს განიცდიდნენ.			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	Zhvaniaa, I., Sumbadze,N.,Abashidze,T., Abuladze,D. ARDA International conference on health Care Reforms, health Economics and Health Policy.	Depression as a failure of active ageing.	Milano, Italy, February 2020.
2	Kitiashvili merican Canadian Conference for Academic Disciplines	Social Experience and Social Identity of Children Living in Poverty in Georgia	10-13 June, McGuill University, Montreal (on-line)
3	Sumbadze, N.,Makharadze,T.,Kitiashvili,A., Saghinadze,S. ARDA International conference on health Care Reforms, health Economics and Health Policy. Milano, Italy, February 2020.	Feeling of Despair among Elderly in Georgia: Flipped Pyramid of Needs.	

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

Social Experience and Social Identity of Children Living in Poverty in Georgia

Anastasia Kitiashvili, Ph.D.

Associate professor

Faculty of Psychology and Educational Studie

Tbilisi State University

Abstract

Studies show that poverty has a negative impact on the cognitive, emotional, and social development of children (Ridge, 2009; Atree, 2006). Poverty is a stigmatized social position associated with reduced social contacts and creates a threat to social isolation or exclusion. Poverty is one of the severe social problems in Georgia. However, poverty reduction strategies do not use evidence collected from families who experience poverty in their everyday life. Voice of the children who live in poverty has not studied yet.

This study aimed to explore effects of poverty on children's everyday life including social identity and social experience. The qualitative interviews were conducted with 40 children aged 12-17 (22 girls and 28 boys) in Tbilisi. All children lived in families registered with the Social Service Agency who received social assistance from the government. All international ethical standards were met.

The study demonstrated the various negative impacts of poverty on children's daily life, such as material or social deprivation; Poverty is a part of the social identity of children, that is related to a sense of fear, weakness, anxiety, and shame. In children's narratives, there are cases of perceived stigma and discrimination. Children have low self-esteem and are afraid of bullying or social exclusion. Children are distant from their classmates. They have limited contact and communication with their classmates.

Most children use different strategies to deal with poverty, such as saving money on clothes or start working at early age to get financial support for their families or share a job with their parents. Children living in poverty have hopes and aspirations for their future but they lack knowledge of how to achieve their ambitions.

Keywords: children's poverty, social identity, stigma, overcoming strategies

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

1. მაია რობაქიძე, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. ია კუტალაძე, პროფესორი
3. სოფიო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1. ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში - მრავალინდიკატორიანი კლასტერული გამოკითხვის (MICS) 2018 წლის მონაცემების ანალიზი (UNICEF)
2. ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში - მრავალინდიკატორიანი კლასტერული გამოკითხვის (MICS) 2018 წლის მონაცემების ანალიზი (UNICEF)
3. ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ - წინაპირობები და შედეგები - მრავალინდიკატორიანი კლასტერული გამოკითხვის (MICS) 2018წლის მონაცემების ანალიზი(UNICEF)

პროექტის მიმდინარეობის ვადები: 2020 წელი

ჩაღრმავებული ანალიზი მომზადდა საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია (EPRA)-ს მიერ, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ბაზაზე. პროექტის კოორდინატორი: ია კუტალაძე; მისი ფუნქცია ამ პროექტებში ჩართულ პირთა მეთოდოლოგიურ ნაწილში კონსულტაციის გაწევა და კვლევითი ანგარიშების მომზადების კოორდინაცია იყო. პროექტში მონაწილეობდა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ნინო წულია, რომელმაც მოამზადა ანგარიში *„ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ - წინაპირობები და შედეგები“.*

ანოტაცია

მრავალინდიკატორიანი კლასტერული გამოკითხვა (MICS) გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევის მიზანია, მონაწილე ქვეყნების მხარდაჭერა, ბავშვთა უფლებების კონვენციისა და მდგარი განვითარების მიზნების შესაბამისად, ბავშვის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. MICS-ი 1999 წელს დაინერგა. მას შემდეგ 300-ზე მეტი MICS გამოკითხვა ჩატარდა 100-ზე მეტ ქვეყანაში. გამოკითხვის საშუალებით გროვდება მონაცემები ბავშვებისა და ქალების კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკვანძო ინდიკატორებზე, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით. საქართველომ MICS-ის სამ ციკლში მიიღო მონაწილეობა. პირველი ციკლი 1999 წელს ჩატარდა, მეორე - 2005 წელს, ბოლო, მესამე გამოკითხვა კი - 2018 წელს. კვლევა დღემდე, ბავშვის განვითარებაზე ეროვნულ დონეზე განზოგადებადი მონაცემების ერთადერთი წყაროა. როგორც სამთავრობო, ისე - არასამთავრობო სექტორის აქტორებს, MICS-ის მონაცემები ადრეული განვითარების ინდიკატორების მიხედვით ქვეყნის პროგრესის შეფასებისა და შესაბამისი ინტერვენციებისა და პოლიტიკის შემუშავების საშუალებას აძლევს.
MICS-ის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა 3 ანგარიში:

(1) ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში - ანგარიში, რომლის ამოცანაა ადრეული განვითარების პოლიტიკისა და ინტერვენციებისთვის საჭირო ცოდნის გენერირება. ამოცანის საპასუხოდ, არსებული თეორიული მოდელების მოშველიებითა და MICS 2005 და MICS 2018 მონაცემების გამოყენებით, კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ კავშირი ბავშვის განვითარების ინდიკატორებსა და მის გარემო

ფაქტორებს შორის. ანალიზის საშუალებით გამოვყავით ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები და რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვების მახასიათებლები.
https://www.unicef.org/georgia/media/5796/file/Early_Development_Report_EN.pdf

(2). ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში: ეს არის ქვეყანაში მშობლების მიერ გამოყენებული ძალადობრივი დისციპლინის - ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმის - შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემური ანალიზის პირველი ფართომასშტაბიანი მცდელობა. დოკუმენტის მიზანია, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკვლევრებსა და საზოგადოებას საქართველოში ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების შესახებ და ხელი შეუწყოს ამ ეტაპისათვის ფრაგმენტული ძალისხმევის გაერთიანებას ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.
(3). ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ - წინაპირობები და შედეგები - ანგარიშში განხილულია 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების სავარაუდო გამომწვევი ფაქტორები და პოტენციური შედეგები. ყურადღება გამახვილებულია კონტექსტუალურ და/ან ინდივიდუალურ ფაქტორებზე, რომლებმაც, შესაძლოა, წაახალისოს ელექტრონული მოწყობილობების ხშირი გამოყენება. შესაბამისად, ანგარიშის ძირითადი ნაწილი, რომელშიც მონაცემთა ანალიზის შედეგებია წარმოდგენილი, ორ შინაარსობრივ სფეროდ იყოფა, კერძოდ: 1. ბავშვების მიერ ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების პრედიქტორები (გამომწვევი ფაქტორები) და 2. ბავშვების მიერ ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების პოტენციური შედეგები (ანგარიში მოამზადა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტმა - ნინო წულაიამ)
https://www.unicef.org/georgia/media/5526/file/Gadget_Report_ENGLISH.pdf

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	,,პერსონალის შერჩევის მრავალფაქტორიანი კითხვარის შექმნა და სტანდარტიზაცია“ დაფინანსებულია NATO- Georgia-ს მიერ; პროექტის მიმდინარეობის ვადები: 2020-2021; პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე; კონსულტანტი, კოგნიტური უნარების ტესტის შექმნაზე პასუხისმგებელი: სოფიო დოლიძე. პროექტში მონაწილეობენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: ნინო წულაია, თამარ ლიპარტელიანი, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი.	
ანოტაცია პროექტის მიზანი: აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის		

პროცედურის ვალიდობის ზრდას. შეფასების ინსტრუმენტი ეფუძნება პროექტის პოლიციელის კომპეტენციების ჩარჩოს, რომელიც იგივე ჯგუფის მიერ შემუშავდა 2020 წელს. მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტი აფასებს შემდეგ კომპეტენციებს:

კომპეტენციები

I.კოგნიტური ფუნქცია და უნარები

1.1.კოგნიტური ფუნქციები

- ყურადღების კონცენტრაცია
- ყურადღების სელექციურობა და დეტალებზე ორიენტაცია
- რეაქციის დრო (სწრაფად რეაგირების უნარი)
- ვიზუალურ–სივრცითი მეხსიერება

1.2. ინტელექტუალური უნარები

- ლოგიკური მსჯელობა:
  (1) ინდუქციური მსჯელობა
  (2) დედუქციური მსჯელობა
- რაოდენობრივი მსჯელობა
- წაკითხულის გააზრება
- წერითი კომუნიკაცია

1.3. კრიტიკული აზროვნება

II. ემოციურ-ნებელობითი სფერო

2.1. ემოციური მდგრადობა/გაწონასწორებულობა
2.2. სტრესთან გამკლავების და სტრესის მართვის უნარები
2.3. კეთილსინდისიერება
2.4. დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი
2.5. თვითგაცნობიერება (self-awareness) და თვითკონტროლი

III. კომუნიკაციური უნარები

3.1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
3.2. ემპათია
3.3. გუნდური მუშაობის უნარი
3.4. ტაქტი და ეთიკის ნორმების დაცვა

IV. სამუშაოსადმი დამოკიდებულება

4.1. შრომითი მოტივაცია
მიღწევის მოტივაცია
4.2 თავდაჯერებულობა/თვითეფექტიანობა

შეფასების ინსტრუმენტი ეყრდნობა ტესტის კლასიკური თეორიასა (CTT) და დავალებაზე პასუხის თეორიას (IRT). მომზადდა ინსტრუმენტის თეორიული ჩარჩო, გაზომვის პრაქტიკის ანალიზი თითოეული მახასიათებლისთვის და ტესტის სპეციფიკაცია. შეიქმნა შეკითხვები ბანკი, რომელმაც გაიარა ექსპერტული შეფასება და შინაარსობრივი ვალიდაციის პროცედურები. პიროვნული მახასიათებლების ნაწილი გამოიცადა 3000-მდე რესპონდენტზე. განისაზღვრა კითხვარების ფაქტორული სტრუქტურა, შეფასდა ფსიქომეტრული პარამეტრები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კოგნიტური უნარების ტესტის პილოტირება, და იქმნება პროგრამა კოგნიტური ფუნქციების შესაფასებლად.

2. „სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“

პროექტი დაფინანსებულია შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU) მიერ; პროექტის მიმდინარეობის ვადა 2020-2021; პროექტის კოორდინატორი (მეთოდოლოგიურ ნაწილზე

პასუხისმგებელი): ია კუტალაძე, პროექტის კოორდინატორი (მონაცემთა შეგროვებასა და პირველად ანალიზზე პასუხისმგებელი): სოფიო დოლიძე

პროექტში მონაწილეობენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: თამარ ლიპარტელიანი, ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი, მაია გაბუნია

ანოტაცია

პროექტის – „სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“ – მიზანია სქესობრივი განათლების საკითხებში საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების შესწავლა, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებებსა და განწყობებს. კვლევა ეყრდნობა თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. პირველი ეტაპით გათვალიწინებული ძირითადი სამუშაოები დაასრულა 2020 წელს. პირველი ეტაპი თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას ეფუძნება და მოიცავს ფოკუსჯგუფისა და ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების განწყობების ანალიზს. საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ოჯახი, სამოქალაქო სექტორი, რელიგიური და სხვა ინსტიტუტები თამაშობს, შესაბამისად, კვლევამ მოიცვა ყველა ეს სამიზნე პოპულაცია. ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობაში, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში სასკოლო განათლებას კრიტიკული როლის გათვალისწინებით, დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია. ანგარიშში ფართო ინფორმაციაა წარმოდგენილი სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი „აქტორების“ დამოკიდებულებებისა და განწყობების შესახებ, რომელთაც ცენტრალური როლი უნდა შეასრულონ მომავალი თაობისთვის სწორი, მეცნიერულად დადასტურებული და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებაში.

ანგარიში მოიცავს საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვას („სქესობრივი განათლება სკოლაში: საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა“), სამიზნე ცნებების, საკითხებისა და სწავლის მიზნების ანოტაციის შედარებით ანალიზსა და სქესობრივი განათლების ეფექტიანი დანერგვისთვის საჭირო აქტივობების აღწერას. ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), ასევე კლასების დონეზე მისაღწევი ძირითადი შედეგების ანალიზს, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება. ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი წარმოდეგნილია იუნესკოს ჩარჩოს თემების მიხედვით. სრული სურათის მისაღებად, კურიკულუმის ექსპერტებთან ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გააანალიზებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვაც 2018 წლიდან დაიწყო. ეს საკითხები გაანალიზებულია, როგორც სქესობრივი განათლების კონტექსტუალური ფაქტორები, რომლებიც აყალიბებს სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებას საზოგადოებაში.
ანგარიშში ცალკე თავებადაა წარმოდგენილი დირექტორების, მასწავლებლების, მშობლების, ახალგაზრდა თაობის (სტუდენტები, მოსწავლეები), სამოქალაქო სექტორისა და საეკლესიო პირების დამოკიდებულებებისა და განწყობების ანალიზი. თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის გამოყოფილია კვლევის მიგნებები. ანგარიშები მოიცავს ინფორმირებულობის, განწყობების, გამოწვევებისა და რეკომენდაციების ნაწილს. ანგარიშში ცალკე თავადაა მოცემული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მოსაზრებები (მასწავლებლები, მშობლები, ახალგაზრდები...).

პირველი ეტაპის ფარგლებში მომზადდა რაოდენობრივი კვლევის კონცეპტუალარი ჩარჩო და კვლევის დიზაინი.

მეორე - რაოდენობრივი - ეტაპი ჩატარდება 2021 წელს. მონაცემთა შეგროვებისთვის კონსტრუირებული ინსტრუმენტი დაეყრდნობა კვლევის თეორიულ ჩარჩოს, სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების კვლევით გამოცდილებას და, რა თქმა უნდა, ასახავს თვისებრივი კვლევის მიგნებებსა და ტენდენციებს.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1. „ფუნქციური უნარშეზღუდულობის ხარიხის დასადგენი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია“
2019-2020 მიმდინარე პროექტი; დაფინანსებულია USAID-ის მიერ. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე, კონსულტანტი: სოფიო დოლიძე
პროექტში მონაწილეობდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი,თამარ ლიპარტელიანი.

ანოტაცია:

საქართველო 2014 წელს შეუერთდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცის, რომელიც ემყარება სოციალური მიდგომის მოდელს. ქვეყანა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის დღესმოქმედი სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლას. სოციალური მოდელის დანერგვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ინკლუზიისთვის. ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებაში არსებულ ბარიერებზე, სტიგმაზე, სისტემურ ხარვეზებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აძლევს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას. ამ ხედვის მიხედვით, პრობლემა არა ადამიანის, არამედ გარემოს შეზღუდულ შესაძლებლობებშია. ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტი (FAICD – Functional Assessment Instrument for Children with Disability) იძლევა შესაძლებლობას, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი განისაზღვროს არა მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროში მისი ფუნქციონირების ანალიზის გათვალისწინებით. ის გამოიყენება 2-დან 18 წლამდე ინდივიდის ფუნქციონირების აღწერისა და შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრის პროცესში.

სოციალური მოდელის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებული იყო სფეროს ექსპერტების მიერ შექმნილი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია და შეფასების ალგორითმის შექმნა. ინსტრუმენტის სტანადრტიზაციის პროცესი დაეფუძნება ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA), ამერიკის განათლების კვლევის ასოციაციის (AERA), განათლების სფეროში გაზომვის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საბჭოსა (NCME) და საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური ტესტების შექმნისა და ადაპტაციის სტანდარტებს. სტანდარიზაციის პროცესში ვეყრდნობით დავალებაზე პასუხის თეორიას (IRT- Item response theory), ასევე, ვიყენებთ ტესტის კლასიკურ თეორიას (CTT – classical test theory) პროექტით გათვალიწინებული სამუშაო მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

I. ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაცია: შინაარსობრივი ვალიდაციის პროცესი მთლიანად ინსტრუმენტისა და მისი ცალკეული დავალების ექსპერტულ შეფასებას გულისხმობს. შინაარსობრივი ვალიდაციის საკვანძო ასპექტი შესაფასებელი სფეროების/განზომილებების რელევანტურობა და სფეროების/განზომილებების ეფექტიანი რეპრეზენტაცია/დაკომპლექტებაა. ამ ასპექტებს მიხედვიტ ინსტრუმენტი შეაფასესექსპერტებმა (ოკუპაციური თერაპევტები, ფსიქოლოგები...); ექსპერტებს შორის თანხმობის შეფასდა აიკენის ინდექსით (Iken index)

II. მონაცემთა შეგროვება და ძირითადი ფსიქომეტრული პარამეტრების დადგენა (შეფასებული ფსიქომეტრული პარამეტრები

- CTT: დისკრიმინაციის ინდექსი: R_{it}, R_{ir}; შინაგანი კონსისტენტურობა: α (კრონბახი),λ_2 (გუტმანი), Glb კოეფიციენტი და რეტესტული სანდოობა.
- IRT: marginal reliability, პროცედურა marginal_rxx R-პაკეტში mirt, $\overline{SE}(\theta)$ და სხვა

III. სტანდარტების დადგენის პროცედურა: სტანდარტების დადგენის პროცედურა ფუნქციური შეზღუდვის სხვადასხვა დონისთვის (მსუბუქი, ზომიერი, მძიმე და უმძიმესი) ზღვრული წერტილების იდენტიფიცირებას და იმ ქულების განსაზღვრას გულისხმობს, რომელიც მიგვანიშნებს ფუნქციური შეზღუდვის ერთი კონკრეტული ხარისხის დასასრულისა და შემდგომის დასაწყისზე. პირველ ეტაპზე ექსპერტების შეფასების საფუძველზე საზღვრების საწყისი მნიშვნელობები იდენტიფიცირდება. შემდგომ კი ვეყრდნობით პირველი ეტაპისა და ემპირიული მონაცემების შედეგებს. მთლიანი პროცედურა დავალებაზე პასუხის თეორიის (IRT) ორპარამეტრიან ლოგისტიკურ მოდელს ეფუძნება.

2. ბავშვის ფუქნციონირების შეფასების ინსტრუმენტი: ვალიდობის კვლევები UNICEF

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე. პროექტში მონაწილეობდა სოფო დოლიძე, მან კოორდინაცია გაუწია ინსტრუმენტის თარგმნას ეთნიკური უმცირესობების ენაზე, ასევე, ვალიდაციის პროცედურისთვის ექსპერტული მონაცემების შეგროვების პროცესს.

პროექტში მონაწილეობდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი,თამარ ლიპარტელიანი.

ანოტაცია:

ვალიდობის კვლევები წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

(1). კრიტერიალური (კრიტერიუმის) ვალიდობა: ფუნქციურების ხარისხის მინიჭების ალგორითმის შეფასება ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის მთავარი მიზანი ბენეფიციართა ფუნქციონირების ხარისხის მიხედვით დიფერენცირებაა. *შეუძლია თუ არა ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტს მაღალი სიზუსტით ბენეფიციართა ფუნქციონირების ხარისხის მიხედვით დიფერენცირება?* ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად კრიტერიალური ვალიდობის შეფასების მოდიფიცირებული ვარიანტი გამოვიყენეთ. კრიტერიუმის ვალიდობა, გარკვეულ ექსტერნალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს ინსტრუმენტის ვალიდობას. ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის ვალიდობის, კერძოდ, ინსტრუმენტით მოპოვებული ინფორმაციის ფუნქციურების ხარისხებში კონვერტაციის ალგორითმის შესაფასებლად, ანალიზის პროცესში დავეყრდენით ორ დამოუკიდებელ შეფასებას: (1). ბენეფიციართა შეფასება ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტით და (2). ბენეფიციართა შეფასება ექსპერტთა მიერ. ექსპერტები იყვნენ პრაქტიკოსები – ოკუპაციურ თერაპევტები, ფსიქოლოგები, რომელთაც აქვთ კვლევისთვის შერჩეულ ბენეფიციარებთან მუშაობისა და მათზე დაკვირვების გამოცდილება. ოკუპაციური თერაპევტების ბენეფიციართათვის მინიჭებული ფუნქციურების ხარისხი ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმად გამოვიყენეთ.

ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტსა და ექსპერტთა მონაცემებს შორის თანხმობა შეფასდა რამდენიმე სტატისტიკური კრიტერიუმით, რომლებიც თანხმობას სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებს. ესენია: კოენის კაპა (Cohen's kappa), კლასთაშორისი კორელაცია, კენდალის ტაუ (τ), კრიპენდორფის ალფა (Krippendorff's alpha)

(2). კონსტრუქტული (კონსტრუქტის) ვალიდობის შეფასება

კონსტრუქტული ვალიდობა აღწერს ინსტრუმენტის შესაძლებლობას, „უნარს“ გაზომოს ის ნიშანი, ჰიპოთეზა ან თეორია, რის გასაზომადაც იგი შეიქმნა. პროექტის ფარგლებში კონვერგენტული კონსტრუქტული ვალიდობისა და დისკრიმინანტული კონვერგენტული ვალიდობის შეფასება.

ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის მიზნისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით მისი კონსტრუქტული ვალიდობის შეფასების პროცესში Vineland II – ადაპტური ქცევის სკალა და EDDT (ემოციური აშლილობის სკალა) გამოვიყენეთ.

(3). მომზადდა ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის სახელმძღვანელო: ბავშვის ფუნქციონირების შეფასების ინსტრუმენტის სახელმძღვანელო ძირითადი დამხმარე საშუალებაა ინსტრუმენტის ადმინისტრირების პროცესში. სახელმძღვანელოში მოცემულია პრაქტიკული ინფორმაცია შეფასების პროცესში მისი ეფექტიანად გამოყენების შესახებ. სახელმძღვანელოში აღწერილია ინსტრუმენტის შემუშავების ეტაპები და მოცემელია ინსტრუმენტის ვალიდობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

3. ,, Developing framework of competencies for recruitment test of the MIA academy for the future police officers” (პოლიციელის კოპეტენციების ჩარჩოს მომზადება)

2019-2020 მიმდინარე პროექტი; დაფინანსებულია NATO- Georgia-ს მიერ; პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე, კონსულტანტი: სოფიო დოლიძე
პროექტში მონაწილეობდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: თამარ ლიპარტელიანი, ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი.

ანოტაცია:

პროექტის მიზანი: აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის ზრდას. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის პირველ ეტაპზე გადაიჭრა რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის ამოცანა I. პოლიციელის სამუშაოს აღწერა, ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტიფიცირება: ეს პროცესი საშუალებას იძლევა სისტემურად შევისწავლოთ პოლიციელის სამუშაო, ის ცოდნა, უნარები და სხვა მახასიათებლები, რომლებსაც სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად უნდა ფლობდეს პოლიციელი. ეს ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია შერჩევის მეთოდისა და, მთლიანად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის უზრუნველსაყოფად. შერჩევისთვის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა (მით უმეტეს მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის) სრულად უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოს ანალიზს, კომპეტენციების ნუსხას, რომელთა შეფასებასაც პოლიციელის საქმიანობისთვის პრედიქტული ღირებულება აქვს და შეუძლია აპლიკანტთა ეფექტიანობის წინასწარმეტყველება. სამუშაოს ანალიზის პროცესში ვეყრდნობოდით მრავალმხრივ ინფრომაციას, მათ შორისაა; საერთაშორისო პრაქტიკის მონაცემები, კრიტიკული ინციდენტების ანალიზი, კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია პოლიციელის საქმიანობაში კონკრეტული მახასიათებლების პრედიქტული ვალიდობის შესწავლაზე, ასევე ექსპერტული შეფასებები. ამ ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შემუშავდა კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც არის ერთგვარი გზამკვლევი ინსტრუმენტის შექმნის პროცესში. კომპეტენციების ჩარჩო წარმოადგენს იმ კომპეტენციათა ნუსხას, რომელებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურ შესრულებას. კომპეტენციების კლასიფიცირების შედეგად გამოიყო კომპეტენციების 4 ძირითადი ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანდა ერთმანეთთან დაკავშირებული სფეროები. ესენია: კოგნიტური ფუნქციები და უნარები, ემოციურ-ნებელობით სფერო, საკომუნიკაციო უნარები და სამუშაოსადმი დამოკიდებულება.

3. ფსიქოლოგია HRM-ში (საჯარო სექტორის HR დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის); პროექტი დაფინანსებულია UNDP-ის მიერ; პროექტის მიმდინარეობის ვადა 04-05.2020/11-12.2020; პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე, ტრენერი: სოფიო დოლიძე, მაია რობაქიძე

პროექტში მონაწილეობდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პროგრამის დოქტორანტები: ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი, თეონა მიმინოშვილი, თამარ ლიპარტელიანი, მერი გაბაშვილი, მარინა ელბაქიძე, თეა გველესიანი ანოტაცია პროექტი ორიენტირებულია ადამიანური რესურსის მართვაში ჩართული სპეციალისტებისთვის იმ ფსიქოლოგიური კონსტრუქტების გაცნობაზე, რომლებიც ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის საფუძველია და მათ სამუშაო ადგილზე წარმოქმნილი პრაქტიკული პრობლემებისა თუ გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება. ადამიანური რესურსის მართვა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, გარკვეულ თეორიულ მოდელებსა და ემპირიულად დასაბუთებულ კონსტრუქტებსა და მეთოდებს ეფუძნება. ეს თეორიები, კონსტრუქტები თუ მეთოდები სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა სფეროდან მომდინარეობს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დისციპლინა, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსის მართვა, არის ფსიქოლოგია და კონკრეტულად შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია შრომის კონტექსტში ადამიანის ქცევას შეისწავლის. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში დაგროვილია კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცოდნა ადამიანური რესურსის მართვის საკითხებთან დაკავშირებით. პროექტის მიზანია ამ ცოდნის გაზიარება ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის. პროექტის ფარგლებში განხილული თემების კლასიფიცირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი: ერთი მხრივ, წარმოდგენილია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ფუნდამენტური კონსტრუქტები - ადამიანის პიროვნული მახასიათებლები, კოგნიტური უნარები, მოტივაცია, სამუშაო სტრესი, ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული კომუნიკაცია და ა.შ. მეორე მხრივ, განხილულ იქნა დღეს დარგისთვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხები, როგორებიცაა სამოქალაქო ორგანიზაციული ქცევა, ემოციური შრომა, პერფექციონიზმი, ქედმაღლობა, სამართლიანობის კონცეფცია ორგანიზაციაში, ბედნიერი თანამშრომლის კონცეფცია და სხვა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სამეცნიერო რედაქტორი: ია კუტალაძე თანაავტორი: სოფიო დოლიძე	გზამკვლევი კარიერის კონსულტირებაში *(მომზადებულია დასაბეჭდად)*	სახელმძღვანელო მომზადებულია ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის" ფინანსური მხარდაჭერით.	331 გვერდი
„გზამკვლევი კარიერის კონსულტირებაში" არის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ამ სფეროში. ის ეყრდნობა კარიერის კონსულტირებაში კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ანალიზს, მასში მოცემულია კარიერის ძირითადი თეორიების მიმოხილვა, კონსულტირების მეთოდებისა და პროცესების აღწერა, კვლევებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, ასევე პრაქტიკული რეკომენდაციები კარიერის კონსულტანტებისთვის.				

სახელმძღვანელოს ცალკეული თავების მომზადებაზე მუშაობდნენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები: თამარ ლიპარტელიანი, ნინო წულაია, სოფიო ბახუტაშვილი, სალომე ვაჩნაძე.				
2	ავტორი: გივი ქირია სამეცნიერო რედაქტორები: მაია რობაქიძე, ია კუტალაძე	პროფესიის ფსიქოლოგია *მომზადებულია დასაბეჭდად*	სახელმძღვანელო მომზადებულია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ; გადაეცემა დასაბეჭდად თსუ გამომცემლობას	160 გვ.
სახელმძღვანელო „პროფესიის ფსიქოლოგია“ არის პროფესორ გივი ქირიას მიერ მომზადებული, რომლის დასრულებაც და გამოცემაც ვერ მოასწრო მის გარდაცვალებამდე. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ აღნიშნული სახელმძღვანელო რედაქტირებულია და მომზადდა დასაბეჭდად. იბეჭდება თსუ გამომცემლობის მიერ. რედაქტირებაზე მუშაობდნენ - მაია რობაქიძე და ია კუტულაძე; ასევე სახელმძღვანელოს გამოცემის ორგანიზაციულ და რედაქტირების ნაწილში ჩართული იყვნენ დოქტორანტები და ინსტიტუტის მოწვეული პედაგოგები: თამარ ლიპარტელიანი, ნონა კერესელიძე. სახელმძღვანელოში განხილულია პროფესიის ფსიქოლოგიის ისტორია, მათ შორის აღსანიშნავია, რომ ფართოდაა განხილული ქართველი ფსიქოლოგის - დ. უზნაძის როლი, მისი ნაშრომები პროფესიის ფსიქოლოგიის მიმართულებით - პროფესიული შრომითი განწყობის საკითხები. სახელმძღვანელო შედგება 6 თავისგან და მოიცავს პროფესიის ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს: პროფესიის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიას, პროფესიების სისტემატიზაციას, პროფესიების კოგნიტურ საფუძვლებს, პროფესიული თვითგამორკვევის საკითხებს და სხვა				

სხვა აქტივობები:

მაია რობაქიძე:
ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსისათვის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამული უზრუნველყოფის მომზადების კოორდინატორი.- 2019 წ ივლისი-დეკემბერ ი(მიმდინარე პროექტი, სრულდება 2021 წელს, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაფინანსებით)

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსისათვის თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილებასთან ერთობლივი მუშაობით მომზადდა პირველი ქართულენოვანი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამული ვერსიები.
პროგრამა შედგება 14 განსხვავებული ექსპერიმენტისაგან, პროგრამის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მას მოყვება მოდული, რომლითაც ექსპერიმენტების კონსტრუირებაა შესაძლებელი და შესაბამისად, მკვლევარს შეუძლია ცალკეული დავალებების ექსპერიმენტულ დიზაინში შეიტანოს ცვლილებები და დაგეგმოს მისთვის საინტერესო საკვლევი საკითხის შესასწავლად ინდივიდუალური დიზაინის კვლევა. ამჟამად დასრულებულია 8 ექსპერიმენტი, რომელსაც გავლილი აქვს პილოტირება ექპსერიმენტული ფსიქოლოგიის კურსის სწავლების ფარგლებში, მათ შორის დისტანციური სწავლების ფორმატში.

პროგრამის მახასიათებლები/ანოტაცია:

- *სისტემის ქართულენოვანი ინტერფეისი*

- *სხვადასხვა ფუნციონალზე წვდომების უფლებების გაწერა/შესაძლებლობა: მაგ. მონაცემთა გაერთიანების, დავალების დიზაინში, ცვლილებების შეტანა შეუძლია მკლევარს, სტუდენტს.*
- *სტუდენტები რეალურად იღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტებში - ასრულებენ დავალებებს და იღებენ შედეგებს მონაცემთა ცხრილისა და დიაგრამების სახით, რითაც მნიშვნელოვნად იზოგება სალექციო დრო*
- *შესაძლებელია მონაცემთა ფაილის ექსპორტირება MS Excel-ში.*
- *შესაძლებელია თითოეული სტუდენტის შემთხვევაში ნედლი მონაცემების, აღწერითი სტატისტიკის ცხრილებისა და დიაგრამების ნახვა;*
- *მონაცემები იგზავნება ინტერნეტის საშუალებით ინსტრუქტორის ვერსიაში;*
- *მომხმარებლებს/ინსტრუქტორს სისტემა აძლევს საშუალებას თვითონ მოახდინონ ექსპერიმენტების მოდიფიცირება, შექმნან ახალი დიზაინები/კონფიგურაციები და ექსპერიმენტის საკუთარი ვერსიები შეიმუშავონ.*
- *პროგრამაში მომხმარებელთა რეგისტრაცია შესაძლებლია მხოლოდ თსუ-ს მეილითა და წინასწარ მიცემული პაროლის საშუალებით/ან ტელეფონზე გამოგზავნილი კოდის საშუალებით*

ინსტიტუტის თანამშრომლის როლი (მაია რობაქიძე)

- ექსპერიმენტების შერჩევა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსის სილაბუსის შესაბამისად.
- ექსპერიმენტების ელექტრონული ვერსიის დეტალური გაწერა, პროგრამისტებისათვის ტექნიკური დავალების მომზადება
- პროგრამისტებთან ერთობლივი მუშაობა პროგრამის შექმნის პროცესში და პირველადი ვერსიების ტესტირება
- კომპიუტერული პროგრამის ადმინისტრერება, სილაბუსით გაწერილი კურსისათვის სტანდარტული ექპერიმენტების ბაზის მომზადება
- მომზადდა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლექტორებისათვის გზამკვლევი მოცემული პროგრამაში არსებული ექსპერიმენტების სასწავლო მიზნით გამოყენების მიზნით.
- სტუდენტებისათვის მომზადდა სასწავლო მასალის ნაწილი პროგრამაში მოცემული ექსპერიმენტების დეტალური აღწერით.

2. სტატია: მაია რობაქიძე

დ.უზნაძის სახელობის ინსტიტუტის პროექტში "დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება" ფარგლებში, გამოცემული კრებულის სტატია: "„უზნაძის ეფექტის" კვლევა ჟ.პიაჟესა და თანამედროვე მეცნიერთა შრომებში"

3. პროექტში მონაწილეობა: მაია რობაქიძე

დ.უზნაძის სახელობის ინსტიტუტის პროექტში "დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება" ფარგლებში ჟ.პიაჟეს შრომის "თანმიმდევრული ვიზუალური აღქმისას გამოვლენილი აინშტელუნგის ეფექტის (უზნაძის ეფექტის) ცდები" თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი

განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

1. მზია წერეთელი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. მანანა მელიქიშვილი, ასოცირებული პროფესორები
3. ნინო ლაბართყავა, ასოცირებული პროფესორები
4. ია აფთარაშვილი, ასოცირებული პროფესორები
5. სოფიო თევდორაძე, ასისტენტ-პროფესორი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	" ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად" , 609736 – EPP – 1-2019-GE-EPPKA2-CBHE-JP (2019-1938/ 001-001, ევროკავშირი	**15 /11/2019 - 14/11/ 2022**	მზია წერეთელი - ძირითადი პერსონალი ია აფთარაშვილი - ძირითადი პერსონალი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) **პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს შშმ პირების სოციალურ ინკლუზიას საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზით.** **ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებელ 300 კრედიტიან პროგრმაში სპეციალური განათლების ახალი აკადემიური მოდულების (40 კრედიტი) მომზადებაზე, კერზოდ, კი შესაბამისი სილაბუსებისა და საკითხავი მასალების შემუშავებაზე.**			

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ჩქარეული მანანა ლაბარტყავა ნინო	წესებიანი თამაშები – გარდამავალი	2020 წ. 28 მაისი http://mastsavlebeli.ge/?p=26092	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების	

		ეტაპი თამაშიდან სწავლაზე		ეროვნული ცენტრი	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წესებიანი თამაშები – გარდამავალი ეტაპი თამაშიდან სწავლაზე

სტატიაში მიმოხილულია თამაშის ერთერთი ეტაპი- წესებიანი თამაში.

წესებიანი თამაშის დროს ბავშვები ან თავად იგონებენ წესებს, ან სხვების მიერ შეთავაზებულ წესებს ემორჩილებიან. **ზოგი მეცნიერის აზრით წესებიანი თამაში, სადაც ბავშვებს უხდებათ გარედან მიწოდებული წესების გათვალისწინება, არის გარდამავალი ეტაპი თამაშიდან სწავლაზე. ვინაიდან, ამ დროს ბავშვებს უხდებათ წესების გაგება, შემდეგ მისი დამახსოვრება, წესების მიხედვით მოქმედება და იმპულსების მართვა. აღნიშნული უნარები კი მნიშვნელოვანი უნარებია სკოლაში სწავლისთვისაც.** განვითარების თვალსაზრისით, „თამაში წესებით, ოფიციალური სკოლისა და საბავშვო თამაშის დასაკავშირებლად იდეალური კანდიდატია“ (ფერნი, 1998 წ., გვ. 7).

სტატიაში მიმოხილულია რამდენიმე სამაგიდე წესებიანი თამაში, რომელთა თამაშიც სახალისო იქნება პანდემიის პერიოდში ოჯახის წევრებთან ერთად, ოჯახურ გარემოში.

2	ჩქარეული მანანა ლაბარტყავა ნინო	შემოქმედებითი უნარების, სენსორული და მოტორული ფუნქციების განვითარება ბავშვებში	2020 წ 1მაისი http://mastsavlebeli.ge/?p=25670	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შემოქმედებითი უნარების, სენსორული და მოტორული ფუნქციების განვითარება ბავშვებში

სტატიაში მიმოხილულია თამაშის ერთ-ერთი ეტაპი - სენსომოტორული თამაში და მისი მახასიათებლები, აგრეთვე სენსომოტორული თამაშის ქვეშ ილუზიის, კონსტრუქციული თამაშის განვითარებისა და შემოქმედებითი ფორმების ჩასახვის სპეციფიკა.

სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები მშობლებისათვის,თუ როგორ არის შესაძლებელი ბავშვებთან ერთად სხვადასხვა მასალის - ქვიშის, პლასტილინისა და საღებავების დამზადება სახლის პირობებში და შეთავაზებულია სხვადასხვა იდეა აღნიშნული მასალების გამოყენებისა ბავშვის სენსომოტორული უნარების განვითარებისათვის.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნატა ასათიანი, მზია წერეთელი	ბულინგის ფსიქოლოგიური ბუმება და	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2020, N1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის	107-128

		განმაპირობებელი ფაქტორები, ISSN 2667–9027		თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, Tbilisi	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ბულინგი მსოფლიოში მზარდი პრობლემაა. ბულინგის შემთხვევებს ვხვდებით ყველგან, და სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ბულინგის, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის, ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა და იმის გაანალიზება, თუ რა შემთხვევები უბიძგებს მოზარდს აღნიშნული ქცევისაკენ. ამ კვლევისას მიზნად ვისახავდით ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლასა და მისიშემაკავებელიფაქტორებისდადგენას. არსებულილიტერატურისანალიზმასაშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ბულინგი ერთიან სისტემად და გვეკვლია მისი მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი: რა კომპონენტებისგან შედგება, რომელია წამყვანი ფაქტორები და როგორია ამ ფაქტორთა ურთიერთქმედება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სამი ფაქტორის მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი. ესენია: პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტის არსებობა და გარემო შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ ნაშრომში შემოთავაზებულია ბულინგის ფსიქოლოგიური ფენომენის გააზრება განწყობის ანთროპული თეორიის თვალსაზრისით. ამ თეორიის ჭრილში, იმისათვის, რომ ბულინგი განხორციელდეს, უნდა არსებობდეს აგრესია, აგრესიის ობიექტი (მსხვერპლი) და გარემო, რომელიც ბულერს აგრესიის გამოვლენის ნებას მისცემს. ამრიგად, ნაშრომში შემოთავაზებულია ბულინგის, როგორც ფაქტორთა ერთიანი სისტემის, მოდელის აგების მცდელობა განწყობის თეორიაზე დაყრდნობით, და მისი მოქმედების მექანიზმის კვლევის შემდგომი პერსპექტივები.					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Магалдадзе М. М., Тевдорадзе С. Т	ПРОБЛЕМА СОЦИАЛЬНО-ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ АДАПТАЦИИ УЧАЩИХСЯ МЛАДШЕГО ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА ISBN 978-83-956628-2-9	Social and Economic Aspects of Education in Modern Society Vol. 2, February 25, 2020	**Warsaw, Poland** **E-mail:** **rsglobal.poland@gmail.com**	**(ст45-48)**
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	მანანა მელიქიშვილი	ბავშვებში ძალადობის პრევენცია	თბილისი, ონლაინ კონფერენცია: ტრავმატიზმისა და ძალადობის პრევენცია, 20.06.2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Nino Labartkava	Positive aspects and problems of online education in primary schools of Georgia in a force majeure situation	May 28-29, 2020 (Ukraine).
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

პედაგოგიკის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

1. ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. იზაბელა პეტრიაშვილი. ასოცირებული პროფესორი
3. ეთერ ღვინერია, ასოცირებული პროფესორი
4. ირმა გრძელიძე, ასოცირებული პროფესორი
5. რუსუდან სანაძე, ასოცირებული პროფესორი
6. ზაქარია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
7. ივანე მინდაძე, ასოცირებული პროფესორი
8. ნინო ჩახუნაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
9. ეფემია ხარაძე, ასისტენტ-პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების გავლენის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე საქართველოში“, უმაღლესი განათლება	2020-2021	ირმა გრძელიძე (მონაწილე, საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევითი პროექტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 2017 წელს განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების ზეგავლენის შეფასება ქართულ საგანმანათლებლო რეალობაზე. კვლევა ორ მიმართულებად მიმდინარეობს: პირველ ეტაპზე განხორციელდა 2018-2020 წლებში სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შემფასებელ ექსპერტთა დასკვნების და აკრედიტაციის საბჭოს ოქმების შედარებითი ანალიზი პროგრამების საფეხურების და წლების მიხედვით. ასევე, იდენტიფიცირებულ იქნა ყველაზე რთულად და მარტივად დასაკმაყოფილებელი სტანდარტები და კომპონენტები; გაანალიზდა ექსპერტთა რეკომენდაციები, რჩევები და მათ მიერ შეფასებული საუკეთესო პრაქტიკები. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა გამოკითხვა უსდ-ებს, აკრედიტაციის ექსპერტებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებს შორის. გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კვლევაში მონაწილეობა მიიღო უსდ-ების 169 წარმომადგენელმა, მათ შორის რეგიონული, თბილისის, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებმა. ასევე, 44-მა აკრედიტაციის ექსპერტმა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18-მა წევრმა. მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება და ანალიზი. კვლევის ანგარიშები წარდგენილი იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე და ასევე, ხელმისაწვდომი იქნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.		
2	„ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, უმაღლესი განათლება	2019-2021	ირმა გრძელიძე (კოორდინატორი) ივანე მინდაძე (მონაწილე) რუსუდან სანაძე (მონაწილე)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. მხოლოდ მათი ბალანსი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი სტანდარტები, რასაც ითხოვს, ერთის მხრივ, ყველა დაინტერესებული მხარე და მეორეს მხრივ კი - უმაღლესი განათლების საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტები, საბოლო ჯამში კი ეს პროცესი უზრუნველყოფს მოსახლეობისა და აკადემიური საზოგადოების უნივერსიტეტისადმი ნდობას, უნივერსიტეტის, როგორც		

ინსტიტუციის, რეპუტაციის ზრდასა და აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში. პროექტის მიზანია, თსუ-ში ინსტიტუციური განვითარების, სამუშაო პროცესების განხორციელების ეფექტურობის უზრუნველყოფის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისათვის და საერთაშორისო საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში მონაცემებისათვის შეგროვება/წარდგენის მიზნით, აგრეთვე, სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შერსულების მონიტორინგისათვის სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობის, სერვისებისა და უნივერსიტეტის არსებული რესურსების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების სისტემის განვითარება და დანერგვა. მიმდინარე რეჟიმში, შემუშავებულია ინდიკატორების გარკვეული სისტემა და ხდება მათი ინფორმაციული მართვის პორტალზე განთავსების პილოტირება.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ლუდვიგვიტ გენშტაინის "ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატის" ქართულენოვანი აკადემიური გამოცემა. ჰუმანიტარული მეცნიერებები, საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, SP-19-636	2019 წლის დეკემბერი-2020 წლის აგვისტო	ივა მინდაძე (ტექსტის და კომენტარების მომზადება)
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ – Assessment Tools for new learning environments in higher education institutions-(585587-EPP-1-2017-1-IL-EPPKA2-CBHE-JP) ERASMUS+	15.10.2017- 30.04.2020	ეფემია ხარაძე (მონაწილე, მასწავლებელი-მკვლევარი)
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
2	„კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში“-CURE: Curriculum Reform for Promoting Civic Education and Democratic Principles in Israel And in Georgia-(N573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP) ERASMUS+	2016-2019 (ვადა გაგრძელებულია 31.03.2020)	იზაბელა პეტრიაშვილი (პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი) ქეთევან ჭკუასელი (მონაწილე) ნინო ჩახუნაშვილი (მონაწილე) თინათინ დოლიძე (მონაწილე, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტი დასრულდა 2020 წლის 31 მარტს. ევროპელ კოლეგებთან ერთად შემუშავებულია 4 კურსი სამოქალაქო განათლების მიმართულებით, ქართულ ენაზე მომზადებულია და გამოცემულია ოთხი რიდერი (საკითხავი მასალა) ამ კურსებისთვის. ჩატარებულია მასწავლებლების ტრენინგები პროექტის მონაწილე 5 ევროპულ უნივერსიტეტში, რომელთა შედეგად ჩატარდა 6 ვორქშოპი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის. მომზადდა და ქართულ ენაზე გამოიცა გზამკვლევი CURE-ის პროექტში, რომელშიც შევიდა აღნიშნული ტრენინგების მასალები ისრაელისა და საქართველოს უსდ-ების ფაკულტეტის წევრებისთვის და ფოკუსირებულია ინივაციურ პედაგოგიკაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა CURE-ის კურსებში სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობისთვის.			
3	შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს სასწავლებლებში.	2017-2020	იზაბელა პეტრიაშვილი, (პროექტის ინსტიტუციური მენეჯერი)

	Assessment Tools for new learning environments in higher education institutions-(585587-EPP-1-2017-1-IL-EPPKA2-CBHE-JP) ERASMUS+		ქეთევან ჭკუასელი (მონაწილე) ეფემია ხარაძე (მონაწილე) მარინე გოგნელაშვილი (მონაწილე, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი) ნინო ჩიქოვანი (მონაწილე, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი იყო სამწლიანი (2017–2020) და ამ ეტაპისთვის დასრულებულია. პროექტის მიზნებში გაწერილი სამუშაო სრულად არის შესრულებული: შედგენილია 6 შეფასების ინსტრუმენტი ინოვაციური სასწავლო გარემოსთვის, შემუშავებულია ამ ინსტრუმენტების სახელმძღვანელოები, ეს სახელმძღვანელოები ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოიცა. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით სკოლის მასწავლებლებისთვის ჩატარდა ონლაინ ვებინარები შეფასების ამ ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ეთერ ღვინერია** იმერი ბასილაძე	იან ამოს კომენიუსის “მათეტიკა” (სწავლის თეორია)-ISBN-978 9941-484-26-1	აწსუ-ს გამომცემლობა-ქუთაისი	192 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს. მასში განხილულია პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენიუსის „მათეტიკა“-სწავლების თეორია, რომელიც ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი და დღემდე არც იყო ცნობილი ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის. იგი პირველად ქვეყნდება ქართულ პედაგოგიურ სივრცეში. აქვე შესწავლილია და გადმოცემულია დიდი მოაზროვნის მიერ დამუშავებული სწავლის პრობლემური საკითხები.

იან ამოს კომენიუსის მათეტიკა-ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს: სკოლის მთლიანად მოსწავლეთა საჭიროებებზე კონცენტრირებას, მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობით ურთიერთობას, სწავლის პროცესში მოსწავლეთა თვითგანვითარებასა და

თავისუფალ თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესის ისე მოწყობას, რომელიც კონკრეტული მოსწავლის ინტერესებსა და ინიციატივას გაითვალისწინებს.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქეთევან ჭკუასელი	იაკობ გოგებაშვილი 180	თსუ	გამოცემის პროცესშია
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა სამი უმთავრესი ასპექტით შეიძლება წარმოვადგინოთ. იაკობ გოგებაშვილი, როგორც - ქართული სკოლის ფუძემდებელი, პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, საზოგადო მოღვაწე. გოგებაშვილის საზოგადო მოღვაწეობის ქვაკუთხედი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა, რომელიც, ფაქტობრივად, გოგებაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ქართული განათლების სისტემის რანგში აიყვანეს, რითაც შეინარჩუნეს ქართული სკოლა და დამწერლობა. გოგებაშვილმა განათლების სისტემის და სკოლის მოწყობას საქართველოში მეცნიერულ-პედაგოგიკური საფუძველი დაუდო. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების/დედა ენა, ბუნების კარი, რუსსკოე სლოვო/ განუზომელი მნიშვნელობა იმდროინდელი სკოლისა და საზოგადოებისათვის განპირობებულია მეცნიერული დიდაქტიკის ძირითადი კითხვების განსაზღვისა /ვინ უნდა აღვზარდოთ? რა უნდა ვასწავლოთ? როგორ უნდა ვასწავლოთ? ვინ უნდა ასწავლოს?/ და გადაწყვეტისათვის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარებიდან გამომდინარე, რითაც გოგებაშვილმა, ფაქტობრივად, ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შექმნა პრეცენდენტი სასკოლო სახელმძღვანელოების მეცნიერულ/დიდაქტიკურ პრინციპებზე აგებისა. დღესაც შესაძლებელია გოგებაშვილის მემკვიდრეობისა და პედაგოგიკურ/დიდაქტიკური მიდგომების გამოყენება ქართული სკოლის განვითარების პროცესში.				

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ეფემია ხარაძე	Некоторые проблемные вопросы обучения в начальных классах (на примере грузинских общеобразовательных школ) DOI 10.33251/2522-1477-2020-7 ISSN 2522-1477 УДК 378:37.013	Сборник материалов международной научной конференции Министерство образования и науки Украины, серия «Педагогические науки» выпуск 7	Кропивницкий 2020	161-165 (5 გვერდი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კლასის მართვა მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო ცხოვრებაში, რადგან მასზეა დამოკიდებული არა მარტო დისციპლინარული დარღვევების პრევენცია, აღსაზრდელთა სწორი ურთიერთდამოკიდებულებებისა და მეგობრული თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ფორმირება, არამედ ის ცალსახად განაპირობებს წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით არსებითია, თუ ვინ ასწავლის-იგულისხმება მასწავლებელი. სწორედ მის პროფესიულ დახელოვნებაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად არის კლასი მართული, რამდენად ეფექტურად და შედეგიანად წარიმართება სასწავლო პროცესი. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა დაწყებით საფეხურზე კლასის მართვის ზოგიერთი პრობლემური საკითხის კვლევა.

განხორციელებული კვლევის შედეგების მიმოხილვის საფუძველზე, დაწყებითი კლასის მართვის პრობლემებს საფუძვლად უდევს როგორც პედაგოგთა მიერ დასახელებული კონკრეტული ხელისშემშლელი ფაქტორები (კლასში მოსწავლეთა დიდი კონტიგენტი და მასთან დაკავშირებული საგაკვეთილო დროის დეფიციტი, სასწავლო გარემოსა და რესურსებთან დაკავშირებული საკითხები), ასევე, საკვლევი ჰიპოთეზის ფარგლებში დადასტურებული ინფორმაცია, რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა თეორიული ცოდნა კლასის მართვისა და პრაქტიკული საქმიანობისთვის საკმარისი არ არის.

საკვანძო სიტყვები: კლასის მართვა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, კლასის მართვის მოდელები, კლასის მართვის სტრატეგიები, სასწავლო გარემო და რესურსები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა გრძელიძე	სადოქტორო განათლება საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივები Doctoral Education in Georgia – Challenges and Perspectives	EUA CDE თემატური შეხვედრა, 2020, თბილისი EUA CDE Thematic workshop, 2020, Tbilisi

2	ირმა გრძელიძე	პანდემიის პირობებში პროფესიული განათლების გამოწვევები და პერსპექტივები Vocational Education challenges and perspectives in times of covid	პროფესიული განათლების კვირეული საქართველოში 2020, თბილისი Skills Week Georgia, 2020, Tbilisi
3	ქეთევან ჭკუასელი	იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა	თბილისი, თსუ, 27.10.2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირმა გრძელიძე	ონლაინ განათლების ხარისხის უზრუნველყოფა QA of Online Education	How do universities ensure quality teaching online? British Council Dialogues, 2020, Online meeting
2	ირმა გრძელიძე	სადოქტორო განათლება საქართველოში Doctoral Education in Georgia	"Equity and Inclusion in Higher Education During/After Pandemic" Webinar at Tbilisi State University, July 15, 2020, Online meeting
3	იზაბელა პეტრიაშვილი ნინო ჩიქოვანი (თსუ-ის მოწვეული ლექტორი, დოქტორანტი)	Reflective Diaries: An Effective Tool to Enhance Academic/Non-Academic Writing	პირველი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია აკადემიურ წერაში, მოფეტის ინსტიტუტი, თელავივი, ისრაელი, 7 ივლისი, 2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

8. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

8.1 საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფიო გურაბანიძე, ქეთინო ზარანდია (ხელმძღვანელი ეფემია ხარაძე)	სიცოცხლის არსისა და მისი ძირითადი ნიშნების სწავლება იაკობ გოგებაშვილის ,,ბუნების კარსა"და დაწყებითი საფეხურის თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოებში	იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია „იაკობ გოგებაშვილი – 180 17.11.2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	ანანო მერკვილიშვილი (ხელმძღვანელი ეფემია ხარაძე)	ადამიანის ანატომიის ელემენტების სწავლება იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში"	

3	თაქუშა მაკარიანი, ანა ხარებაშვილი (ხელმძღვანელი ეფემია ხარაძე)	ბუნების მოვლენების სწავლება იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარსა" და თანამედროვე სახელმძღვანელოებში - შედარებითი ანალიზი	
4	რუსუდან როინიშვილი, მაკა ბუბუნაური (ხელმძღვანელი ეფემია ხარაძე)	იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის" მნიშვნელობა და XIX საუკუნის მოღვაწეთა გამოხმაურებები მის გამოცემასთან დაკავშირებით	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

სხვა აქტივობები:
9. ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა

9.1.საქართველოში

№	მონაწილე/მონაწილეები	ტრენინგ-კურსის სახელწოდება	ტრენინგ-კურსის ჩატარების/მიმდინარეობის დრო და ადგილი
1	ირმა გრძელიძე	ხარისხის შიდა უზრუნველყოფა	28, 29 და 30 სექტემბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა
2	ირმა გრძელიძე	სადოქტორო პროგრამების შეფასება	2,3 და 4 ნოემბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა
3	ირმა გრძელიძე	პროგრამის შემუშავების შესახებ	17 ივნისი, 2020, ონლაინ შეხვედრა
4	ირმა გრძელიძე	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	13, 20 მაისი, 2020, ონლაინ შეხვედრა
5	ირმა გრძელიძე	ეთიკა განათლების კვლევაში - Ethics in Educational Research	1 ოქტომბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა
6	ირმა გრძელიძე	მონაცემთა ანალიზი განათლების კვლევაში	15, 16 ოქტომბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა

7	ირმა გრძელიძე	ონლაინ სწავლების ასპექტები	9,12, 16, 23 ოქტომბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა
8	ირმა გრძელიძე	საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნება განათლების მიმართულებით	27 ოქტომბერი, 5 ნოემბერი, 2020, ონლაინ შეხვედრა
9	ეფემია ხარაძე (ტრენერი)	ონლაინ საკვირაო-სკოლა დონორი: ქალთა ფონდი საქართველოში, გრანტის ნომერი:UNW20/06 სასკოლო გარემოს და სასწავლო პროცესის ჰიგიენა	15.11 – 06.12. 2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	ეფემია ხარაძე (ტრენერი)	ონლაინ- საზაფხულო სკოლა (პანდემია, არაქართულენოვანი სკოლების აზერბაიჯანელი და სომეხი დამწყები ქალი პედაგოგები)	01.07 – 12.07.2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

9.2 უცხოეთში

№	მონაწილე/მონაწილეები	ტრენინგ-კურსის სახელწოდება	ტრენინგ-კურსის ჩატარების/მიმდინარეობის დროდაადგილი
1	ირმა გრძელიძე	სასწავლო ვიზიტი ნარვას და ტარტუს პროფესიულ სასწავლებლებში, ესტონეთში, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით	ნარვა, ტარტუ, ესტონეთი - 27-31 იანვარი, 2020
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

10.1 აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები

№	მონაწილე/მონაწილეები	აქტივობის სახელწოდება
1	ირმა გრძელიძე (პროექტის მონაწილე)	PROFFORMANCE - Assessmenttool and Incentives for Developing Higher Education Teachers' Performance; ERASMUS+ Initiatives to support the implementation of European Higher Education Area (EHEA) reforms EPLUS2020-EHEA09-2019

2	ირმა გრძელიძე (პროექტის კოორდინატორი)	Strengthening the Quality and Relevanceofthe 3rd mission in Georgian Universities - SQUARE 618612-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP fundedunder the Erasmus+ 'Capacity Building in Higher Education' action.
3	ირმა გრძელიძე (პროექტის მონაწილე)	Bologna Hub Peer Support, https://eu.daad.de/programme-und-hochschulpolitik/bologna/bologna-hub-peer-support/de/
4	ირმა გრძელიძე (თემატური ჯგუფის მონაწილე)	2020 EUA-CDE Thematic Workshop; https://eua.eu/events/100:2020-eua-cde-thematic-workshop.html
5	ირმა გრძელიძე	პოლიტიკის დოკუმენტის ავტორი: ი. გრძელიძე და ავტორები: "ბოლონიის პროცესის 15 წელი საქართველოში: მიღწევები, გამოწვევები და რეკომენდაციები", სტატია: "ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და ინსტიტუციური ეფექტიანობა", National Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისი, 2020

10.2 პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები

- პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ შემუშავდა და ამოქმედდა ერთობლივი სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებები - (სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ შემუშავდა და ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა განათლების მეცნიერებები (პროგრამის საერთო სავალდებული კურსები 75 კრედიტი, პროგრამის სავალდებულო/არჩევითი საგნები - 10 კრედიტი (ზოგადი განათლების ბლოკი/უმაღლესი განათლების ბლოკი), პროგრამის არჩევითი საგნები - 15 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი);
- ინსტიტუტის მიერ ჩატარდა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - უნივერსიტეტი სკოლას სკოლა უნივერსიტეტს /19 დეკემბერი, 2020 წ./;
- ინსტიტუტის მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად /ახალი ქართული ენის კათედრა/ ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის დაბადებინ 180 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციები პროფესორ მასწავლებლებისა (27 ოქტომბერი, 2020 წ.) და სტუდენებისათვის (17 ნოემბერი, 2020 წ.)
- ინსტიტუტის ფარგებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ოდენობა-73 (სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები"-53, სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლება"-20);
- ინსტიტუტის მიერ მომზადდა 2 სადოქტორო დისერტაცია: 1. დავით წამალაშვილი-„ფუნქციის სწავლების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე"; 2. ელისაბედ ბუსხრიკიძე „ინტეგრირებული სწავლების პრობლემები ზოგადსაგანამანთლებლო სკოლაში".